



**№ 24 1916**
კვირა, 12 თიბათვე

ფასი 10 კ.

წელიწადი მეოთხე გამოცემისა


მიიღება ხელის მოწერა 1916 წ. ჟურ.

წ. VI „თეატრი და ცხოვრება" წ. IV

**ყოველკვირეული ჟურნალი**


წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანი"-ს სტამბაში ყოველ ჟამს. ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შე-წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანი"ს სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41.
Тифлисъ, Ред. „Театри да Цховрсба" I Имедашвили






დრამატურგ მგოსანი მ. ი. უ. დ. მთ. კონსტანტინე (კ. რ.) იგივე იოსებ ჰრიმათიელის როლში
გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო.

## 12 თიბათვე

**დგომა—ცდომაა!** გინახავთ თუ არა დახუთული ცხენი, ფეხებს რომ ატყაპუნებს და ნაბიჯი-კი ვერ გადაუდგავს, ანუ გუბე, რომელსაც ორფერი მოძრაობა აქვს,—ჩააგდებ კენჭს, წინწკლები ზოლად გაიშლებიან და მერე ისევე დამშვიდდება?!

სწორედ ასეთ მდგომარეობას მოგვაგონებს ჩვენებური საზოგადოებრივი მუშაობა.

აიღეთ ჩვენებური დილა—საღამო—საირნობანი, ანუ კონცერტ—წარმოდგენები,—სულ ერთფეროვანი, ერთნაირი, უმოძრაო, უგერგილო!...

არც ერთი ახალი სიტყვა, არც ერთი ცხოველი ნაფიქრი და ნააზრი!...

გადახედეთ ჩვენი თეატრის მესვეურთა „საქმიანობას“: რაც გუშინ იყო, დღესაც და ხვალაც იგივე!...

აბა თუ ერთი ახალი ნაბიჯი გადადგან! არ არის თვითშემოქმედება, შინაგანი სიცხოველე, სიცოცხლე, მაჯის ძლიერი ცემა!...

უკვე ზაფხულია, დრო მიდის და რას შვრებიან ჩვენი მელპომენის მსახურნი?...

გასული და მიმდინარე სეზონივით უმოქმედობას გამოიჩენენ, კერძო ამხანაგობანი შეადგენენ და ზოგიერთ ღირსეული გაინაპირებენ თუ ამ თავითვე საქმეს ხელს მოჰკიდებენ, რომ მომავალში მაინც რიგიანი დასი გვყავდეს და თუმცა საკუთარი თეატრი არა გვაქვს—იმ თეატრებში მაინც, სადაც წარმოდგენების მართვა შეიძლება—მართლა და რიგიანი წარმოდგენა, საღამო, ანუ კონცერტები გაიმართოს?!...

საჭიროა სიფხიზლე, თორემ... ისიც განქრება, რაც დღემდე მოგვიტანია!...

# აკაკის დაუბეჭდავი ლექსი

### საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი (1798—1800)

ღორმუცელა გიორგი ცხენზე შეგორებულა,
თითქო ლოქო ექამოს, გამხიარულებულა;
წინ მიუძღვის ამაყად უცხო ქვეყნისა ჯარებს,
სურს საფიცრად მიადგეს წმიდა სიონის კარებს.
ამ დროს გაჩნდა ქუჩაში კუზაანთ კეკელა,—
ტერტერას ქრივი იყო ქალაქში სცნობდა ყველა.
ქოშებში ფეხ-გაყრილი, კალთა-ამოწეული,
ახალ ამბის მუსუსი, ზოგჯერ ჭორსაც ჩვეული,
ახლაც გამოსულიყო ამბის გასაგებათა:
—მეფე რო მხიარულობს ნეტა რა დაემართა,
რომ ასე სიამით, ზეიმით და ზარითა
ტაძარში მიბრძანდება, უთვალავის ჯარითა?!
უთხრეს: დედი, უმართებს, დიალ მხიარულია,
მან მიიღო დღეს ჯილდოდ მხარლენტივ კავალერი
—რა ჯილდოა ნეტავი: თვალი თუ მარგალიტი,
რომ ჯერ არ მომხდარიყოს მისთანა მაგალითი?!
—ნიშანი დიდკაცობის, მხოლოდ სამკაულია;
ვერა ხედავ ლურჯ სარტყელს, მხარ-ბეჭზე რომ უვლია?
—როგორ? სულ ეს არის და მეტი არაფერია,
რო მეფეს თვალი მოსჭრა და ჭკუა აერია?!
რა ნახა ლურჯ ჭინჭებში ისე უსაშველო,
რო მასში გასცვალა მთელი საქართველო?!
მისთვის შორს რად გარბოდა? რო მცოდნოდა დღემდიო,
გადვიჭრიდი ნ—ს ტოტს და მას მივართმევდიო.

**აკაკი**

(ეს ლექსი დაწერილია 1858 წ. გადმოგვცა ვარ. ყიფიანმა. რედ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



**მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი**

ნახატი ალ. მრევლიშვილისა

(წელს უსრულდება დაბადების 100 წ.)

# წყლის ასული

1

მაშინ გიმნაზიელი ვიყავი, 16 წლის გიმნაზიელი. ორი რამ მიყვარდა: ანკარა, გიჟი ხანის მდინარე და აბრეშუმის ძაფით ნაქსოვი ქარვის ფერი სასროლი ბადე. ზაფხული ჩემთვის ყველაფერი იყო. მთელ დღეებს მდინარეზე ვატარებდი. მთვარიან ღამეში ხანის წყლის პირას—ბადეს ვშლიდი და მხიარული ვიყავ, რომ თევზები ჩემს პარკში ფრთხიალით გადადიოდენ....

ადამიანი იშვიათად მნახავდა, ყველა „წყლის კაცს“ მეძახდა, და მეც ამ სახელით ვამაყობდი.

— წყლის ქალი ხომ არა გყავს შეყვარებული, ბიჭო, მკითხავდენ ხოლმე, რომ სულ წყალში ხარ.

— მამის სული ნუ წამიწყდება წყლის ქალს ყვარობს, თორემ ერთი ბადე არ გაუცდება, იმდენ თევზს იჭირავს.— დაუმატებდა მოხუცი მეწისქვილე, როცა წისქვილის ახლოს დამინახავდა..,

მე ამ ლაპარაკს ღიმილით ვისმენდი, თავი მომწონდა როგორც კარგ მებადურს და ღიღინით ბადესა ვშლიდი.. ხშირად დავიღლებოდი ხოლმე, მკლავები დასუსტდებოდა და მე სადმე მოლზე მდინარის პირას მივისვენებდი, მივწვებოდი და ტალღათა რიკრიკში ჩავიძინებდი..

— წყლის კაცს შეხედეთ, სა მიგდებულა?.. ხშირად ჩამესმოდა ხოლმე მგზავრის სიტყვები.

— ალბად წყლის ქალს უცდის.. დაუმატებდა ხოლმე მეორე,...

ერთხელ ასეთი დასვენების დროს, ჩანჩქერის გვერდით, რომელიც ჩემი საყვარელი ადგილი იყო, სადაც ხშირად მის ჩხრიალს ყურს ვუგდებდი და დაღლილი მისი გიჟური გამოძახილით დამტკბარი ვისვენებდი, უცნაური სიზმარი ვნახე..

ვნახე სიზმარში ლერწმოვანი ტანის ასული, რომელსაც მდინარის ქაფი ემოსა თითქო მარმარილოსაგან გამოკვეთილი იყო სახე მისი, რომელიც მარწყვის ფერი ტუჩებით შემკულიყო. მისი თვალები მუხის ნახშირივით შავი იყო: წარბები კი, ცხელი ლურსმით ამომწვირი სპილოს ძვალზე, ნახაზსა ჰგავდა... ორი ნაწნავი ზაფხულის უმთავრო ღამესავით ყურყუმი, გადმოეშალა და ასეთი ჩემს ახლოს გაჩნდა. მომიახლოვდა, ღიმით ხელი გამომიწოდა, ბადე მთხოვა... მივეცი. მოიმარჯვა იგი და გაშალა... თავს გადამაფარა... შიგ გამხვია... მერე თვითონაც ბადეში შემოძვრა და ალერსი დამიწყო.. ალერსი... ჰო.. მე ისეთი არა მენახა. ის ცეცხლი იყო, ცეცხლი ალმური, რომელიც მწვავდა მე. მწვავდა, მარა მინდოდა სულ დავმწვარიყავ.. როცა ჩემს ალერსს მორჩა, გვერდს მომისვა და ზღაპარი მიამბო.. როცა ზღაპარი გაათავა, ტუჩებში ჩამეკონა და უცებ მომშორდა... თვალი მივატანე, რომ ჩანჩქერში გადასცურდა —გაქრა... გამომეღვიძა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## II

წყლის ასული, წყლის ასული, ჩემი ოცნება ის შეიქნა.,. მე შემიყვარდა იგი, ვინც სინამდვილეში ერთხელაც არ მენახა...

დაღვრემილი მოვკიდე მეორე დღეს ბადეს ხელი და მდინარისკენ წავედი, მარა რამდენ ბადეს გავისვრიდი, იმდენი ოხვრა გულს მისწყდებოდა, მოსწყდებოდა საოცნებო წყლის ასულზე და ხანის წყლის ბუტბუტს ჩაეწნებოდა

ოხვრით მივედი ჩანჩქერამდე.. სევდიანი გავეგდე ვერხვის ძირას და ჩავჴთვლიმე... ღმერთო, ისევ ის სიზმარი, ისევ ის მოჩვენება. წყლის ასული ისევ ჩემთან არის; მეალერსება, ზღაპარს მიამბობს... ჰო, მე ბედნიერი ვიყავ, ბედნიერი... ბედნიერი, რომ ოცნებით შევიყვარე წყლის ასული და ამ ოცნებამ არ მიღალატა, არ მიღალატა და ყოველთვის სიზმარში იმას, რაზედაც მთელი დღეები ვფიქრობდი, ვნახულობდი ., განვიცდიდი...

## III

ტკბილმა ზაფხულმა გაიარა... უკანასკნელი დღე ვიყავი სოფლად... ქალაქი თვისკენ მიწვევდა... ბადე ხელში ავიღე და მდინარისკენ გავემგზავრე .. მინდოდა წყლის ასულზე სულ არ მეფიქრა, მაგრამ იგი მიდგა თვალწინ, იგი მელანდებოდა.. დაღლილ-მოქანცულმა მივაწიე ჩანჩქერამდე...

მოლზე დავეშვი. წამი და ძალა წამერთვა. რაღაც ბურუსი თვალებზე გადამეკრა. ტკბილად ჩამძინებოდა, თვალები რომ გამოვახილე, შევკრთი... სად ვიყავი არ ვიცოდი. შხუილი მომესმა... იქით გავიხედე... ჩანჩქერი მთვარის თეთრი სხივებით შემოსილიყო, მივაშტერდი მის თეთრ სვეტებს. სული შემიგუბდა. გამახსენდა წყლის ასული... მეძინა და... მე იგი სიზმარში ვერ ვნახე... ვერა. რათ?! მე ხომ დღეს უკანასკნელათა ვარ აქ.. წასვლის დროს რად არ მოვიდა... არ ვნახე...

ღმერთო!! მაგრამ აი, აი., მე იგი დავინახე... ჩანჩქერის სვეტთა შორის. თმა გაშლილი სევდიანი მომჩერებია.. მე მინდა მისკენ გავიქცე—ჩანჩქერში შევიჭრე, მარა ადგილიდან ვერ ვიძვრი...

— მო .. მო... დი... ვიძახი..

— არა.. მე სინამდვილეში შენთან არ მოვალ...

— მაშ მე... მე მოვალ... დავიძახე და დავინძერ...

— გიჟო, შეჩერდი... მისმინე.

შევჩერდი...

— ჩემო გიჟო, ჩემო, ერთადერთო... მე შენი ვარ. . შენი... ნუ გეშინია, მე ცხოვრებაში შეგხვდები... ახლა მშვიდობით..

ეს სთქვა და გაქრა.

— დარჩი, დარჩი, დავიძახე... მორევისკენ გავექანე და ვაპირობდი მდინარეში შეჭრას, რომ ვიღაცამ ხელი წამავლო.

— ბიჭო, ხომ არ გადირიე? —მომესმა ვიღაცას ხმა. მე მთლად ვკანკალობდი...

— ბიჭო, რა იყო, ქაჯი ხომ არ მოგლანდებია დამეკითხა იგივე ხმა...

— ჰო, ქაჯი, ქაჯი!.. გავიმეორე და ქვითინი წამსკდა...

## IV

გავიდა ხანი. ცხოვრებაში წყლის ასულის აჩრდილები მხვდებიან. მხვდებიან —წყლის ასული მგონია, მაგრამ გაივლის ხანი, მოვისმენ მათ ზღაპარს და არა, არა-.. იგი არ არის ..

ვერა, ვერა... ჯერ კიდევ ვერ ვიპოვე იგი, ვინც ტკბილ ზღაპრებს მომითხრობდა ჩანჩქერის პირას...

ვერა, ვერ ვნახე, ვერსად შევხვდი.

სევდით, სევდით დავიარები... მეტეორებივით გადივლიან ჩემს ცხოვრებაში წყლის ასულის აჩრდილები და სული ისევ ობლად რჩება...

იმას-კი, ვინც მითხრა ცხოვრებაში შეგხვდებით, ვერ შევხვდი...

ვერავინ მიამბო წყლის ასულივით ცხოვრების ზღაპარი..

და ვეძებ..

შეიძლება შევხვდე... ვინ იცის!.. ხშირად სინამდვილე ოცნებაა და ოცნება სინამდვილე.

და ვეძებ ვინც სიზმარში ჩემი ოცნება იყო და ოცნებაში ჩემი სიზმარი..

ვიპოვი კი?!

**დია ჩიანელი**

# იროდიონ ევდოშვილის ხსოვნას *)

როგორც იქნა ექვს მაისს, ღამის თორმეტ საათზე, რვა თვის განმავლობაში ციხეების ჯურღმულებში ჯდომის შემდეგ, სრულიად თავისუფლად ვიგრძენი თავი. მართალია იმ წუთს შორს იყო ჩემგან „ცა-ფირუზ ხმელეთ ზურმუხტი“, მოწყვეტილი ვიყავი მშობლიურ არემარეს და თავისიანებს, მაგრამ თავისუფლებას ღვთისგანაც და კაცისაგან მოძულებულ ასტრახანშიც კი უსაზღვრო მიმზიდველობა და უძირო სიტკბოება აღმოაჩნდა. ელვის სისწრაფით გადაუშვა მოგონებათა ქვესკნელში განვლილი ტანჯვა და მე კვლავ შემიპყრო სიხარულმა, უმაწვილურმა აღფრთოვანებამ. ხომ მოგეხსენებათ „კაცსა მიხვდეს საწადელი,—რას ეძებდეს, უნდა პოვნა—მაშინ მისგან აღარა ჰხამს გარდასრულთა ჭირთა ხსოვნა“, შოთას ისიც უთქვამს „მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიხდის კაცი ჭირსაო“. და მეც ვილხენდი. მაგრამ ჩემი ლხინი, რასაკვირველია, პილატეს ცრემლების სმაში არ გამოხატულა.

რა მოხდა უჩემობის დროს ქვეყანაზე, რა ამბები დატრიალდა ბრძოლის ველზე, რუსეთში, ჩვენში? რა მდგომარეობაში არიან ტოლ ამხანაგები, თუ ნათესავები? აი რა კითხვების გარშემო ამუშავდა ჩემი გრძნობა და გონება. ყველა ამ კითხვაზე ამა თუ იმ პასუხის მიღება ჩემთვის პირდაპირ დღესასწაული იყო, ვგრძნობდი, რომ ბნელეთიდან თანდათან გამოვდიოდი და დროებით დახუჭული თვალები ისევ მეხილებოდა. განსაკუთრებით დავეწაფე ქართულ გაზეთებს, არ ვტოვებდი წაუკითხავს განცხადებასაც კი. ვიკითხე ერთი დღე, მეორე, მესამე დღეს კი თავზარდამცემი ამბავი ამოვიკითხე:

— გარდაიცვალა მგოსანი იროდიონ ევდოშვილიო.

მთელი ჩემი აღფრთოვანება მოიწამლა. აღმაფრენამ ფრთები დაყარა და კვლავ მომიცვა იმ სულიერმა განწყობილებამ, რომელსაც ხელში ვყავდი სულ ორიოდე დღის უკან, ვიგრძენი რომ ულმობელ ცხოვრების მკაცრი სინამდვილე უხეშად ჩაწვდა ჩემის გულის სიღრმეში აჟღერებული სასიხარულო ჰიმნი და ბოლო მოუღო წამს სულიერ ლხინს. „მოკვდა ევდოშვილი, ის ევდოშვილი, რომელიც“... ვფიქრობდი ყოველ წუთს და წინადადებას ამოხვნეშით ვათავებდი, სიტყვები არ მეპოვა და არც მინდოდა მომეძებნა, რომ მკაცრი და შეუსაბამო რამ არ წამომცდენოდა იმ მგოსნის შესახებ, რომელიც ასე მიყვარდა, რომელიც ჩემი ახალგაზრდობის ჰორიზონტზე აგრე ბრწყინავდა, აგრე მიმზიდველად კაშკაშებდა.

მოიგონეთ ის არსება, რომელთანაც თქვენ განიცადეთ პირველი სიყვარული, სიყვარული უმწიკვლო, წმიდა, ალსავსე პოეზიით; სიყვარული ამამაღლებელი, განმასპეტაკებელი, თქვენი პიროვნების გამომრკვევი. მოიგონეთ ისიც, რომ თქვენი სიყვარულის საგანმა სამაგიეროდ მოგიძღვნათ ის, რაც თქვენ მიუძღვენით მას. დიდხანს, დიდხანს იყავით უტკბილესი მეგობარნი, გრწამდათ სიყვარულის უცვლელობა, გრძნობათა მუდმივობა და ერთგულობა... მაგრამ გადის დრო და ჰოი, თავზარდამცემი ამბავი! თქვენი სატრფო სხვას ამოდგომია გვერდით. მთელი არსება გეწამლებათ, არ იცით რითი ახსნათ ეს მოვლენა, რითი გასცეთ მას პასუხი. პირველ ხანებში შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის პაროქსიზმი ისე ილიერია, რომ თქვენს სატრფოს ცუდით სიტყვებითაც კი შეამკობთ, ხოლო შემდეგ კი, როცა ნერვები ასე თუ ისე დაწყნარდება, სატრფოს მდგომარეობაშიც შედიხართ და ასე მსჯელობთ: კარგი, მე გამშორდა, სხვასთან წავიდა, მაგრამ იქნება კი იმასთან ბედნიერი? მთელი თავისი ყმაწვილური გატაცება ჩემთან განიცადა, თავისი სიცოცხლის საუკეთესო დღენი—ახალგაზრდობა—ჩემთან გაატარა, ერთის სიტყვით, უკვე დახარჯა ის, რის დახარჯვაც კი შეეძლო... და დღეს კი ხელ ახლად ცდილობს გაახალგაზრდებას, ხელ ახლად უნდა გაიმეოროს ის,

*) ვბეჭდავთ ამ ფრიად საყურადღებო წერილს, თუმცა ღრმად პატივცემულ ავტორს ზოგიერთ აზრში არ ვეთანხმებით. **რედ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უკვე განიცადა? თუ ამის ფიქრი აქვსხ, ხო მოსტყუვდა სასტიკად! უმწიკვლოების შარავანდედით მოცული მხოლოდ პირველი სიყვარულია. ამ დროს ირკვევა ადამიანის პიროვნება: მისი ტემპერამენტი, შთაბეჭდილების ძალა, ნების დონე; ეს არის ადამიანის ცხოვრებაში თვალის ახელის ხანა, სულიერ გამშვენიერების დღენი. მოღალატე სატრფომ ყველაფერი ეს განიცადა, მაგრამ ეხლა კვლავ მოინდომა მისი განმეორება. ცდება საბრალო: ახალგაზდობა მხოლოთ ერთხელ გვეწვევა, გენიოსი მხოლოდ ერთ განსაზღვრულ დროს არის ადამიანი თავის ცხოვრებაში, „თავსა ახლად ვერვინ იშობს". მაშ რათ მიღალატა ჩემმა სატრფომ, რათ? ახალი რამე შეუძლია განიცადოს მან უკვე განცად გრძნობაში? განმეორება ხომ კარიკატურაა?

აი ასეთ სატრფოს ვადარებ მე იროდიონ ევდოშვილს.

მე ის მიყვარდა, გაგიჟებით მიყვარდა. ეს იყო ჩემი შეგნებული ცხოვრების განთიადისას, ეს იყო მაშინ, როცა ჩემმა პიროვნებამ ფეხი აიდგა და წუთი სოფლის გაცნობა მოინდომა.

„მეგობრებო, წინ, წინ გასწით ნუ შედრკება თქვენი გულიო", გავიგონე და ელვის სისწრაფით ვიგრძენი, რომ ევდოშვილის ხელმა მაგრათ ჩამორეკა ჩემი გულის სიღრმეში ჩაფლული ზარი. აფორიაქდა სული, ატორტმანდა მთელი არსება, მომინდა სიცილი, თავდაუჭერელი ხარხარი, სადღაც გაფრენა, კლდე ღრეში გადაჩეხა. მე თითონ არ ვიცოდი, თუ რა მინდოდა, რისთვის აღმეტყინა სული ასე, ანგარიშს ვერ ვაძლევდი ჩემს თავს. მაგრამ რა საჭირო იყო ეს მაშინ ჩემთვის?

„დე, შუბლის ოფლის დაღი აჩნდეს და გულს სისხლის ნაკადულიო", განუწყვეტლივ მესმოდა და მეც ვზეიმობდი მთელ ჩემ სამოქმედო ენერგია შემოკრებილი.

„ქარი ქრის, ქარი სისინებს, ქარი და-
სტირის ბნელასა,
ღამეა კაეშნიანი, თვალი ვერ ხედავს
ვერასაო",

დაამღერა მეორედ მგოსანმა და ჩემს არსებაში მეორე გვარმა გრძნობამ იფეთქა, რომელიც თურმე აგრე შეუმჩნევლად მიმალულიყო პირველის გვერდით. ამ გრძნობამაც ერთიანად შეარყია მთელი ჩემი არსება, მძლავრად მოიცვა იგი და ერთის წუთით კიდეც გაბატონდა პირველზედა. მაგრამ გავიდა დრო, დათავდა პირველი შთაბეჭდილება და შევამჩნიე, რომ ორთავე გრძნობა—უსაზღვრო იმედით აღსავსე „წინ, წინ გასწი" და კაეშნიანი ამონაკვნესი—ერთად მოთავსებულიყო ჩემს სულსა და გულში და ორივე ერთნაირათ აცხოველებდა და ანახლებდა ჩემს პიროვნებას.

რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში მდიდ-
რის ქულაჯას,
არა გავს განა კონკად ქცეულ შენს
ძველ ფარაჯას".

დაიწყო ელეგიურად მგოსანმა და დასასრულ დაუმატა:

ის ხხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ეგ კონ-
კის ძველა,
ასე რათ ხდება? ჰკითხე შენს თავს
მაინც ერთხელა!

და მე ასე მეგონა, რომ კოლუმბის გემზე ვიყავ და ამერიკის პირველათ დანახვისას „მიწა, მიწა"-თქო შეშლილივით წამოვიძახე. ამ პატარა სევდიანმა ლექსმა, რომლის კითხვისას თვალწინ გიდგებათ მკაფიო სურათი—მდიდრის სასახლე და მისი შემეურე დაკონკილი მუშა,—უცებ ამიხილეს თვალები და მხატვრულ სიტკბოების განცდასთან ერთად, გონებაც ამიმუშავეს.

„ასე რათ ხდება, ჰკითხე შენს თავს მაინც ერთხელა", მეც ვუთხარი ჩემს თავს და პასუხის საძებრად გაშმაგებული ავმოქმედდი.

„ბედნიერებო, გამოდით გარე, მხოლოდ
თქვენთვისინ ანათებს მთვარე,
შენ კი საბრალო, ბედს რომ ემდური
ამ მეჯლისიდან გამოიპარე"...

ამის დამწერი ადამიანი რომ იმ წუთს მენახა, მგონი სიხარულით გადვირეოდი და წამსვე ღმერთად გამოვაცხადებდი მას. რომ იცოდეთ რამდენჯერ, რამდენჯერ გამიმეორებია მე სევდიანი ამონაკვნესი და რამდენჯერ ვიმეორებ ახლაც. და მასთან რამდენ შხამს ვღებ შიგ, რამდენ გულისწუხილს! „ბედნიერებო, გამოდით გარე, მხოლოდ თქვენთვისინ ანათებს მთვარე", ეს გესლით შეზავებული სიტყვები, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ჩემი სულიერი ავლადიდე-

ბის ეპიგრაფია. ვინ მაგრძნობინა მე ეს პირველად, ვინ გამაგებინა?

მხოლოდ და მხოლოდ არადიონ ევდოშვილმა. და განა მარტო მე ამიხილა მან თვალები? მე მხოლოდ უმნიშვნელო წვეთი ვიყავი ზღვაში, რომელსაც ძალუმათ აღელვებდა ნიჭიერი პოეტის მიერ ატეხილი ქარტეხილი. ამ დროს ევდოშვილი მთელი ახალგაზრდობისთვის სათაყვანო პოეტი იყო, პირდაპირ კერპად დასასმელი არსება.

— „წაიკითხე ევდოშვილის ლექსი? დაიზეპირე რომ სცენაზე წავიკითხოთ? შეიძინე მისი ნაწერები“? აი ის კითხვები, რომლითაც მიმართავდენ ურთიერთს ცხრაას სამ ხუთ-ექვსიან წლებში ჩვენი საზოგადოების წელში გასწორებული ყმაწვილები, რომელნიც ასეთის გატაცებით შეტრფოდენ ახალ ცხოვრებას და რომელთაც ესოდენი მსხვერპლი შესწირეს ამ მიზნისთვის ბრძოლას.

დღე და ღამე, ტყეში თუ მინდვრად ევდოშვილი განუშორებლივ ჩემთან იყო, მის თხზულებათა კრებული მუდამ იღლიაში მქონდა და ვით მართლ-მორწმუნე მაჰმადიანი, მომაგონდებოდა თუ არა მისი სახელი, წამსვე მოწიწებით შევუდგებოდი ათიათასჯერ გადანაკითხის კითხვას მე შენახული მაქვს ის ეგზემპლიარა მგოსნის თხზულებისა, რომელიც ჩემს თანამგზავრობას ეწეოდა და რომელიც ერთიანათ დამეფლითა. აი ამ დღე და ღამე თრევაში დაფხრეწილ წიგნს რომ ლაპარაკი შეეძლოს, იცოდეთ ბევრ რამე საინტერესოს მოგვითხრობდა ჩემი მაშინდელი სულიერი მოძრაობის შესახებ და განა ეს მარტო ჩემს შესახებ იქნებოდა მართალი? არა, სწორეთ ამ გვარ გრძნობებს განიცდიდა მაშინ მთელი ჩემი სამშობლოს საუკეთესო ნაწილი მგოსნის ქნარის ჟღერის მოსმენისას... ჩემი დაფლეთილი წიგნი ჩემზე ამბის მოთხრობისას თქვენ მხოლოდ ტიპიურ მოვლენას გაგაცნობდათ. **ვ. მალაქიაშვილი.**

(გაგრძელება იქნება)

---

**მოლიპულ გზაზე** (გაგრძელება)

იხ. „თ და ც.“ № 23

**იას.** კარაპეტა? ჰმ.. აქეთ-იქით თვალებს აბრიალებს, ეგება სხვისიც ჩავიგდო ხელშიო და მე უკანვე მომართმევს? მეორე მიწების გაყიდვაც ამ თვის გასულს არი დანიშნული.

**ოქრო.** კი ველარ მივართვი.

**იას.** მეეტლე გავისტუმროთ. ერთი გაიანე. (ადგება).

**გაიანე.** როსტომი გაისტუმრებს.

**იას.** არა მოიცა, მე საქმეცა მაქვს (გადის და თან კნ. გაიანეც გაჰყვება. სცენაზე მარტო მაკინე და ოქრო დარჩებიან. მაკინე გარინდებულია, ოქრო თავჩაღუნული სდგას).

**მაკ.** (ცოტა ხნის მერე) ოქრო! გახსოვს ამას წინ რომ მეკითხებოდი, ბედნიერი ხარ თუ არაო? მაშინ გიპასუხე, ჩემისთანა ბედნიერი ქვეყანაზე არავინაა მეთქი! (ქვითინი აუვარდება).

**ოქრო** მაკო! ძვირფასო! გამაგრდი, ნუ გეშინიან, მე აქ არა ვარ? ყოველ-ღონის ძიებას ვიხმარ, ის მამული უკანვე დაგიბრუნო, თუ არა და ჩემსას შემოგწირავ, თავს შემოგევლები! (ეხვევა და ჰკოცნის. მაკინე გადაეხვევა მას და ქვითინებს).

**ფარდა**

**მოქმედება მესამე,** სურათი მეექვსე.

დეკორაცია მეოთხე სურათის, კნ. თეკლეს ბაღში მთვარიანი ღამეა.

I

**მაშო და ქეთინო,** ბაღში დასეირნობენ. ქეთინო აღელვებულია.

**ქეთ.** რა წყნარი, რა მომხიბლავი ღამეა! მთვარე კაშკაშებს და ნათლად ჰფენს თავის სინათლეს დედამიწას! როგორ ნელ-ნელა მისცურავს, ღრუბლებს ეფარება, თითქო ვიღაცას ემალებაო. ამაყად უცქერის მოციმციმე ვარსკვლავებს.

**მაშო.** იცი, ქეთინო, შენ მგოსანი უნდა გამოსულიყავი, უნდა სწერო ხოლმე.

**ქეთ.** მართლაა? მე კი არა მგონია! მაგ ნიჭით, საუბედუროდ, არა ვარ დაჯილდოვებული. (პაუზა) მაშო, შენ არ დაჰკვირებიხარ ცხოვრებას, თუ რა მშვენიერებაა! რა ტურფა და წარმტაცია? განა ადამიანს როდისმე მოსწყინდება სიცოცხლე, რომ დარდი და ბოროტი არ არსებობდეს?!

**მაშო.** საქმეც ამაშია, ჩემო კარგო, რომ ხშირად ეს მშვენიერი ქვეყანა ჯოჯოხეთად გარდაექცევა ხოლმე ადამიანს და მსწრაფლ ჰკარგავს თავის ღირსებას. ყოველისფერი

# შენა ხარ დარდი ჩემი გულისა

სულით სპეტაკი, სახით ნარნარი,
შენა ხარ დარდი ჩემი გულისა.
მე კი მგოსანი, ეშხით დამწვარი,
ფერფლად ქცეული სიყვარულისა.

—

და ვმღერი მარად, მაგრამ ლამაზო,
სევდიანია ჩემი სიმღერა..
ვით უსინათლო აშუღის ხელში,
თარის სიმების საამო ჟღერა. .

**ქნარი**



**პრაპორჩიკი**

**ალექ. ბეს. ჩიჩუა**

ბრძოლის ველზე მოკლული.

---

ცხოვრებაში წამია. არ არსებობს ხანგრძლივი სიტკბოება, სიმშვიდე წუთისოფელი ცვალებადია. ვით დროთა სვლა იგი ჩარხივით ტრიალებს.

**ქეთ**. ნუ თუ ქვეყნიერობაზე არ არსებობს ხანგრძლივი სიყვარული.

**მაშო**. არა, რადგან წუთი-სოფელი წუთისაა! (უცბად) უჰ, ქალო, რა ცივა?! მე აღარ შემიძლიან დარჩენა? წამო სახლში შევიდეთ, თორემ დავცივდებით

**ქეთ**. არა, მე არა მცივა, ცოტა ხანს კიდევ ვიქნები!

**მაშო** მე კი წავალ. მეტად მცივა. არ შეგცივდეს! გინდა წამოსასხამი გამოგიტანო?

**ქეთ** არა, არაფერი მინდა! შენ თუ გინდა, შინ შედი. მე ცოტა ხანს კიდევ ვიქნები! (მაშო გადის).

**ქეთ**. (მარტო ბაღში) ოხ, ღმერთო! ლამის არი გული შუაზე გამეპოს! რა მემართება—თითონ არ ვიცი? ნუ თუ ვღირსები, რომ ოქრო ჩემი გახდეს?... (შეკრთება) ოხ, მგონი მოდის, ლამის არის წავიქცე.

## II

### ქეთინო და ოქრო.

**ოქრო**. ქეთინო, ჩემო სიცოცხლევ! (ჰკოცნის) რა მოგივიდა, რატომ ხმას არა მცემ? იქნება გეწყინა ჩემი მოსვლა?

**ქეთ** სულზედ უტკბესო! შენი მოსვლა მე... მეწყინა? აბა, დააკვირდი ჩემს თვალებს და ამოიკითხე, თუ რა სალამს გიძღვნი. ნ. შენ ჩემი საამქვეყნო დიდება ხარ! (გულზე მიეყრდნობა).

**ოქრო**. (გატაცებით კოცნის) ოჰ, ჩემო იხარულო, განა მე ამის ღირსი ვარ?!

**ქეთ** ოქრო, ჩემო სიცოცხლევ ჩემო სულის დგმავ (სტირის).

**ოქრო**. რა გატირებს, ჩემო ნუგეშო? სიხარულის მაგივრად სტირი?

**ქეთ**. არა, შენ შემოგევლე! ეს სიხარულის ცრემლებია, ჩემი ნეტარება ვეღარ მითქვამს!

**ოქრო**. თუ ასეა, რათა ხარ დაღონებული, მოწყენილი!

**ქეთ**. განა მოწყენით ვარ.

**ოქრო**. როგორ არა. არამც თუ ახლა, —ეს ერთი კვირაა, შენი მხიარული სიცილი აღარ მსმენია! რა ამბავია! შენც ხომ არა გლოვობ ჩემს ძვირფას მეგობრის დაკარგვას? ოხ ქეთინო, შენმა სიყვარულმა შემისუბუქა მისი დაკარგვა. რომ იცოდე, რა ჩინებული, რა პატიოსანი მეგობარი დავკარგე... ახლა კი მისმა სიკვდილმა ისე არ შემაძრწუნა, როგორც უნდოდა, ეს კი სულ შენი ბრალია, ჩემო ცელქო! (გადაეხვევა, ქეთინო ამო-

# მადლიანი მუშაკნი

## II



**გიორგი ნუკრაძე.**

დაკვირვებული მკითხველი დაგვეთანხმება, რომ შორეულ პროვინციებში გაბნეულ ქართველების საზოგადოებრივ საქმიანობას, შედარებით, მეტი ნაყოფიერება ეტყობა, ვიდრე იმ ქართველობისას, რომლებიც ჩვენებურ ცენტრებში მოქმედებენ. ეს ადვილი ასახსნელიც არის: დაშორებით მყოფთათვის უფრო აშკარად ჩოსჩანს მშობლიურ მხარის ავი და კარგი, ვიდრე იმ უმრავლესობისათვის, რომელიც შინვე ტრიალებს და, ნებსით თუ უნებლიეთ, თვითვე ჰქმნის ამა თუ იმ ყოფას. ამას გარდა, როგორც კერძო, მგრძნობიარე ადამიანს დაშორება ერთი-ორად უცხოველებს მზრუნველობას თვის ოჯახისადმი, აგრედვე, მშობლიურ მხარეს დაშორებამ, არ შეიძლება ერთი-ორადვე არ გაუცხოველოს შეგნებულ მამულიშვილს თვისი ზნეობრივი, მოვალეობა იმ მხარისადმი „სადაც

---

იოხრებს) რა იყო ბედნიერებავ! ვინ ბედავს შენს შეძრწუნებას? იქნება მე? შენი მოთაყვანე აქამდის კი არ ვიცოდი. დამსაჯე საკანონო დამდე, ჩემო ზეციერო ანგელოზო!

**ქეთ** (დასჩურჩუჩებს) ოქრო!

**ოქრო.** რა იყო, მშვენებავ!

**ქეთ.** კიდევ სთქვი, კიდევ გამაგონე, შენი სიტყვები!

**ოქრო.** რა გითხრა იმაზე მეტი, რომ თაყვანსა გცემ, ქვეყნის გამჩენზე ვლოცულობ, შენი მონა ვ რ. მოსამსახურე, ფერხთა მტვერი სიცოცხლევ!

**ქეთ.** (ისევ ჩურჩულით) ოქრო!

**ოქრო.** რაო, თვალის ჩინო!

**ქეთ** შენთან მინდა ყოფნა.

**ოქრო.** მეც, მეც შენთან მინდა ერთი და იმავე ჰაერით ვისუნთქო. დავტკბე შენი ლაპარაკით, მაგრამ ჯერ ცოტა ხან მამითმინე, მშვენიერო!

**ქეთ.** მეშინიან!

**ოქრო.** რისა?

**ქეთ.** ვაი თუ მავნე-ბოროტმა სულმა შეიშუროს ჩვენი ბედნიერება და ერთმანეთს ჩამოგვაშოროს?

**ოქრო** ყოვლად შეუძლებელია! ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებულნი. ვის შეუძლიან სიხარულის გამომეტყველი აკორდი დაამსხვრიოს?

**ქეთ.** მერე, შენებს უნდათ რომ ჩემი გახდე?

**ოქრო.** რასაკვირველია, იმათ უნდათ. ჩემი ბედნიერება და ან როგორ არ მოინდომებენ? თუნდაც არ უნდოდეთ, მე ხომ მინდიხარ? მინდოდა ჩვენი სიყვარული საქვეყნოდ გამომეცხადებინა, მაგრამ ჯერ კიდევ ვარჩიე საიდუმლოთ შევინახოთ, ვიდრე ჩემს საქმეებს მოვრჩებოდე. მერე უფრო დამშვიდებული გამოვიქცევი შენთან და გავბედნიერდებით, ჯვარსაც დავიწერთ! კი არ იჯავრო ჩემი წასვლა, შენ შემოგევლოს ჩემი თავი!

**ქეთ.** თუ მალე მოხვალ? (ცოტა ხნის მერე) მაგრამ არა, ნუ აჩქარდები, საქმე არ გაგიფუჭდეს, ორიოდე კვირას არა მიშავს რა, შემიძლიან როგორმე თავი გავირთო, როგორც იქნება გავატარებ გულის დამლევს დღეებს და დავიახლოვებ დიდებულ დღესასწაულს! წერილს ხომ მომწერ?

**ოქრო.** ჩავალ თუ არა... შენც ხომ გამომიგზავნი პასუხს, სიცოცხლევ!

**ქეთ.** უეჭველად!

**ოქრო.** ერთი საფიქრებელი კი გამყვება აქედან და მოსვენებას არ მომცემს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობილა-გაზრდილა“, სადაც „ეგულვის მამა-პაპათა კუბოს ფიცარი“...

არის გამონაკლისიც: ყველა ჩვენთაგანი იცნობს მრავალ ისეთ პირსაც, რომელიც, ვინ უწყის, რა წვა-დაგვით გამოუზრდია მშობლიურ მხარეს, მაგრამ ცხოვრებაში გამოსული, დაშორებია თუ არა უკანასკნელს, გაუღმერთებია თავისი „მე“, ჩაყურყუმელავებულა ვიწრო, პირად ყოფის ჭაობში და, ილიას თქმისა არ იყოს, „ფეხებზე ჰკიდია ქვეყანა და ქვეყნის საქმე“, მაგრამ ჩვენ ესრეთი, პირუტყულ ფსიხიკის მქონე, კაცუნები არა გვყავს მხედველობაში არამედ ვგულისხმობთ ისეთებს, რომელთაც ღირსეულად ესმით ადამიანის დანიშნულება

წინა წერილში ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ ერთ-ერთ პროვინციაში მომქმედ მადლიან მუშაკის ნაყოფიერი მოღვაწეობა, ახლა კიდევ გვინდა მკითხველს გავაცნოთ ხალხის გათვითცნობიერებისათვის მეორე თავგამოდებული მუშაკი—გიორგი ნუკრაძე.

გიორგიმ თავისი ჩუმი საზოგადოებრივი მუშაობა დაიწყო, ბ. დ. თედეშვილთან ერთად, ბაქოში, ამ ოციოდე წლის წინედ. თვით პატარა მოხელე რკინის გზაზე და მცირე სახსრით, ის ყოველთვის დროს შოულობდა და, შეძლებისა და გვარი, ზნეობრივ ქონებრივი წვლილი ხალისით მიჰქონდა საერთო საქმისთვის. თითქმის არც ერთი წარმოდგენა, ან საღამო არ იმართებოდა ბაქოში, რომ გიორგისაც იქ რამე მონაწილეობა არ მიეღო და თუმცა ერთ ხანას ბაქოსაც

**ქეთ**. რა, ჩემო საყვარელო?

**ოქრო**. რა და ვქნა ჩემს იქ ყოფნაში რომ პალიკო დაგიახლოვდეს და შენი გული მომტაცოს?

**ქეთ**. პალიკო შენზე წინად ვნახე, მაგრამ ამ გულმა მაინც შენ გიცნო, შენ მოგიცადა, შენ გელოდა!

**ოქრო**. იმას რომ უყვარხარ!

**ქეთ**. რა ვუყოთ მერე... იმას ვუყვარვარ. მე კი არა, მორჩა და გათავდა!

**ოქრო**. ქეთინო! ანგელოზო, ამისრული სათხოვარი!

**ქეთ**. მიბრძანე სიცოცხლევ!

**ოქრო**. სანამ მოვიდოდე, პალიკოზე თავი შორს დაიჭირე?

**ქეთ**. თვალითაც არ დავენახვ ბი, ოღონდ შენ კმაყოფილი მყავდე...

**ოქრო** მაშ აღარ წახვალ მის დასთან, მარიკასთან?

**ქეთ**. არა.

**ოქრო**. ოხ, შენ გენაცვალე, ჩემო ნეტარებავ, ჩემო საუნჯევ! ვინ არის ჩვენზე ბედნიერი? (ჰკოცნის).

**ქეთ**. არავინ. (ჰკოცნის).

**ოქრო**. (აღტაცებულია, ქეთინოს მუხლებთან დაჩოქებია) სოფელში დავდგეთ, ღვთაებავ, მყუდრო ცხოვრებას შევეკედლოთ, რად გვინდა ქალაქი, როცა უმანკო ბუნება უფრო შესაფერი იქნება ჩვენი სიტკბოებისა! ერთმანეთს მხარში ამოვუდგეთ, ყოველი მისწრაფება, ფიქრი, აზრი ერთმანეთს გავუწოდოთ. ვიმოქმედოთ სიყვარულით აღვსილ ოჯახისთვის, რომლის დედა შენ იქნები, ვზარდოთ თავდადებული მხნე, პატიოსანი შვილები, რომ თავიანთ სამშობლოს გამოადგნენ, აგრეთვე ვიზრუნოთ საწყალ, გაჭირვებულ ხალხისთვის! თანახმა ხარ?

**ქეთ**. შენი სურვილი ჩემთვის წმინდა კანონია, რომელსაც ფარვანასავით თავს შემოევლება შენი ქეთინო!

**ოქრო**. მერე მხატვრობა? მ გ ს ხომ წრთვნა და ვარჯიშობა უნდა? სოფელში მოვიწვიოთ საგანგებო მასწავლებელი!

**ქეთ**. არა, ჩემო ნეტარებავ, ჩვენ ცხოვრებაში უცხოს ჩამოზიარება არ ივარგებს... არა, ოქრო! მხატვრობასაც შენ განაცვალებ და ყველაფერსაც. რა გზასაც მე და შენ დავადგებით, მხატვრობაზე ნაკლები არ იქნება! დაე ერთმა მეორე იმსხვერპლოს, უიმისოდ ხომ შეუძლებელია ცხოვრება. არამც თუ მხატვრობას, სიცოცხლესაც შენ შემოგწირავ, ჩემო წმინდათა-წმინდავ! (აკოცებს)

**ოქრო**. (ნეტარებით) აჰ, რა ბედნიერად გავატარებთ ჩვენს სიცოცხლეს!

ორი სამი სადგურით დააშორეს, მაგრამ, საქირო დროს, გიორგი ყოველთვის ბაქოში ჩნდებოდა.

1909 წ. გიორგი გადაიყვანეს მარტოთუბნის (ქუთაისის გუბ.) სადგურის უმფროსად. გიორგის მოუსვენარი, საზოგადო საქმიანობას მიჩვეული, ბუნება ვერ შეეგუა ისეთ მიყრუებულ ადგილსა, როგორსაც მარტოთუბნის სადგური წარმოადგენდა და ამიტომაც, თვალყური მიაპყრა, იქიდან ხუთიოდე ვერსზე მდებარე, დიდ სადგურს- შორაპნისას, სადაც მომუშავე-მოსამსახურენი, 600—700 კაცამდე, მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ გონებრივ გაწვრთნა-გართობას. მათი უმრავლესობა თუ რასმე მისდევდა, ზნეობა-ქონებრივად გამათახსირებელ ბანქო-ნარდის გამუდმებით თამაშს და ლოთობას. გიორგი დაფაცურდა; ხშირად მარტოთუბნიდან შორაპანს ფეხით მიდიოდა და მთელ თავის თავისუფალ დროს საქმის მოგვარებას ანდომებდა. ბოლოს რამდენიმე კაცის დახმარებით, შეადგინა პატარა წრე, სადგურის სახელოსნოში მოაწყო სცენა და შეუდგა სისტემატიურად წარმოდგენების დადგმას, რასაც შორაპნელები დიდის ხალისით და მადლობით ესწრებოდნენ. ამასთანავე მოაწყო პატარა სამკითხველოც და ამ გვარად საძირკველი ჩაეყარა შორაპნელთა აზრიან ცხოვრებას. თეატრი და სამკითხველო ახლა თურმე აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სადგურ შორაპანზე მცხოვრებთათვის, განსაკუთრებით მუშებისათვის, და, რა თქმა უნდა, მადლობით იხსენიებენ ამ კეთილი საქმის მომგვარებელთ.

რამდენადაც შევიტყეთ, ბ. გიორგი ნუცუბიძე ახლა სხვა სადგურზე გადუყვანიათ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, გიორგი, სადაც უნდა მოხვდეს, ის ყოველთვის იშოვნის ასპარეზს თვისი მადლიანი შრომისათვის..

**გ. ახალციხელი.**



**გიორგი სააკაძე ბრძოლის მოლოდინში**

ნახატი ვ. სიდ.—ერისთავისა

# უგვირგვინო მეფენი,

**სანდრო შანშიაშვილისა.**

სანდრო შანშიაშვილი დღეს საქართველოში ერთ-ერთი უნიჭიერი და ნაყოფიერი მწერალია. რვა წლის განმავლობაში ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა ისეთი ნაწერებით, როგორიცაა „შვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის თავადი“, ქალი გრძნეული, „მეფე მგოსანი“, „ივერიკო“, „იასონ და რენო“, „ბერდო ზმანია“, „უგვირგვინო მეფენი“ და სხ. არ ვიტყვით, რომ ნიჭიერი ეპიკოსი დრამატიულ ნაწარმოებში მოისუსტებდეს: თუ ჩვენს ეროვნულ და მეტადრე ისტორიულ რეპერტუარს თვალს გადავავლებთ, **„უგვირგვინო მეფენიც“** ძვირფას განძად უნდა ჩათვალოს.

ჩვენი ისტორიული რეპერტუარი საშინელ სიღარიბეს განიცდის... აბა გაითვალისწინეთ: არა დრამატიული პატარა-კახი, სარდუს გადმონათლული „სამშობლო“ და სუმბათაშვილის „ღალატი“. გვაქვს სხვა ისტორიული პიესებიც, მაგრამ მათი მოხსენება სირცხვილიც კი დღეს კი, როდესაც ჩვენი ეროვნული თვითშეგნება ძლიერდება, ასეთი სულიერი სიღარიბე მეტად შემაძრწუნებელია.

პიესა „უგვირგვინო მეფენი“ სუსტობს ტეხნიკურის მხრით, მაგრამ არის მასშიც კლასიკური ადგილები,—მის გვირგვინს შეადგენს კლასიკური ტიპი—შადიმან ბარათაშვილი. პიესის არაკი აღებულია „სისხლის“ დროიდან, როს საქართველომ უდიდეს ტრაღიკულ განცდას მიაღწია. სამი ვეშაპი ჭლამობდა საქართველოს ჩაყლაპვას. მისი ზურმუხტოვანი გულმკერდი—ბრძოლის ასპარეზად გადაქცეულიყო. სისხლის ჩანჩქრები ჭქუხდა მთას სამშობლოში, ვაის ძახილი ცას სწვდებოდა. ჩვენი **უგვირგვინო მეფენი** კი, გონება-აბნეულნი თავს რეტ-დასხმულნი გარბოდნენ თეირან-სტამბოლიდან—მოსკოვს; მოსკოვიდან—რომს. გული უკვდება ადამიანს, როცა ჰკითხულობს თეიმურაზ I-ის, ვახტანგ მე VI-ის წერილებს. თვითეულ წარგზავნილ ეპისტოლეში ისმის მონური, მაგრამ კეთილშობილური ვედრება დიდებული ბაგრატიონი, ვიდაც რუსის გენერლის წინაშე იმდაბლებს თავს. უკანასკნელს სიმდიდრეს თუ სიწმინდეს ჰგზავნიან აქეთ-იქით და ყოველივე პოლიტიკას მოკლებულნი, ქრისტეთი დაიმედებულნი (სიტყვას: ქრისტე: ჩვენი მოძმე სახელმწიფონი ხშირ ბოროტმოქმედობდნენ) გულწრფელ ბავშვებივით სხვის სათამაშოდ ჰხდებიან. ამ დროს გამოჩნდება დიდი ჭენია საქართველოსი გ. სააკაძე, რომელსაც საქართველოსათვის შეეძლო მეორე **ოქროს ხანა** დაებრუნებინა. ბედით თუ უბედობით, საქართველოს ჭარიბალდი—ჩვენმა მზაკვრობამ იმსხვერპლა და შეიქმნა დამაზი ტრაღედია... მგოსანმა ისარგებლა მითი. და ფრიად სასიამოვნოა, რომ სიუჟეტების საძებნად იგი საზღვარ-გარედ არ გარბის, როგორც ჩვენ ზოგიერთ მწერლებს (რომელთაც საქართველოს ისტორიაზე არავითარი წარმოდგენა არა აქვთ) ჰსჩვევიათ.

ავიღოთ პიესა: მგოსანს დიდი ყურადღება მიუქცევია შადიმანისთვის და თითქმის მასში ინთქება ტრაღედიის მოქმედება, მის გარშემო ტრიალებს ღერძი—ტრილოგიის პირველ ნაწილია მისი მოქმედება ისეთი ვრცელი მასშტაბით არის განსაზღვრული, პიესას რო „შადიმან ბარათაშვილი“ ჰრქმეოდა, ამით ვგონებ არა შეიცვლებოდა რა. შადიმანი—ტრაღედიის გვირგვინია. ავტორზე დიდი გავლენა მოუხდენია შექსპირის იაგოს, მხოლოდ შადიმანის მოქმედება უფრო ვრცელ ასპარეზიანია და საძნელო... საერთოდ შადიმანის ტიპი, ავტორისგან კარგადაა შესრულებული

მეტად მკრთალად არის ასახული დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. მეფე ლუარსაბ უფრო ევროპიელ პრინცს მოგვაგონებს, სანამ იმ ქართველ მეფეს, რომელიც მეფობაში მართალია ასეთი ბედკშავი იყო, მაგრამ ჰქონდა საკუთარი ნების-ყოფაც, რამაც შემდეგში მოწამეობის გვირგვინი დაადგა თავზე. ვრცლად არ შევეხებით პიესას და არას ვიტყვით დანარჩენზე. პიესის ენა მეტად მშვენიერია და ისეთი დამაზიც, როგორც ბ. შანშიაშვილს შეჰფერის.

როგორ შეასრულეს პიესა? ამსრულებელთა შორის იუზა ზარდალიშვილმა მხატვრულად ჩაატარა ლუარსაბის როლი, რომელიც პირველ უბედურობაშივე და მარცხში გონებას ჰკარგავს. ბ ნი ყალაბეგიშვილი არაფრით არ გვანდა დიდ მოურავს.

გამყრელიძეს დიდად საძნელო როლი ეკისრნა. პიესამხოლად მას დააწვა. მან საშუალოდ ჩაატარა შადიმანის როლი, ჯერჯერობით იგია შადიმანის ნიჭიერი ამსრულებელი. არა უშავდა რა ქ-ნ ელო ანდრონიკაშვილს. მისი ერთი დირსებათაგანი—ქართული ცეკვა იყო. დანარჩენთ შორის, ობოლ მარგალიტად მოსჩანდა ბ-ნი მურუსიძე და სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლე შეჰქონდა ქ-ნ მჭედლიშვილის ასულსა თავადების ჯგუფი მეტად სუსტი იყო. ნუ თუ ამნაირი თავადები ამშვენებდნენ ბაგრატიონის ბრწყინვალე სასახლეს? ძლიერ მოისუსტებდა მასიური სცენები და ეს მისთვის რომ, ჩვენში არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სტატისტებს და ვინც კი შეჰხვდებათ — იმას გამოიყვანენ. სტატისტობასაც კარგი შესწავლა უნდა, რადგანაც პიესის მწყობრი მსვლელობა მასზედაც არის დამოკიდებული. ზეიმის დროს, სტატისტების ქცევა აუტანელი იყო: არავითარი სიდარბაისლე, თავის დაჭერა და სხ. უადგილო-ადგილოს დრეჭა დიდად უშლიდა ხელს მოქმედებას; ხან მისრეთის მუმიასავით დადუმდებოდნენ, ხან კი საზღვარს სცილდებოდნენ.

პიესა დასდგა შალვა დადიანმა და აქაც თავისი გემოვნება გამოიჩინა, მიუხედავად იმისა, რომ სახალხო სახლის მოწყობილება და ნივთიერი მდგომარეობა ჰბორკავდა მოქმედებას. საერთოდ რეჟისორის მხრით არ იყო დაცული ქართული სტილი. სპარსული მომღერლები — მეფის ხავერდ გადაშლილი ტაბლას, სპარსულ გემოვნებაზე აშენებული სასახლე და სხ. მართალია, ეპოქა ისეთი იყო, რო ყველაფერი სპარსეთიდან მოგვქონდა, მაგრამ ჩვენც ბევრი რამ გვქონდა საკუთარი და უფრო უძვირფასესი. მეტად ღარიბი იყო პირველ და მეორე მოქმედების დეკორაციები...

საერთოდ სასახლის მორთულობა სრულებით არა ჩანდა. მრავალ და აღურიცხველ ნაკლთა შორის ჩვენ თეატრს არა აქვს განვითარებული მხატვრული ტემპერამენტი. სინამდვილის უდეტალობა საშინელ დისონანსად იჭრება პიესის მსვლელობაში. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთების აზრს, ვითომც მხოლოდ პიესაა სხვა კი არაფერიო. მაგალითად ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პიესის მსვლელობა ხშირად სამოსელზედაც (კოსტიუმი) არის დაფუძნებული. ისტორიულთან სწორი სამოსელი საჭიროა დრამატიულ მოქმედებისთვის, სცენიურ ილიუზიის და დრამატიულ ეფექტების მოსახდენად. ჩვენის აზრით, მომქმედ პირის ბუნებრივ ბა ხშირადაც ტანისამოსის აბსოლუტურ სინამდვილისგან წარმოსდგება, მით უმეტეს, რომ სამოსელის ერთი თვისებათაგანია გამომხატველობა ეპოქისა. გარდა ამისა, მსახიობის ჟესტიკულიაცია და მოძრაობაც ხომ სამოსელის სტილისგან წარმოსდგება. ასევეა თითქმის დეკორაციის მნიშვნელობა. ხშირად დეკორაციის სიღარიბე და სიძუნწე მრავალ ეფექტებს გამოსტაცებს ხოლმე პიესას. სწორედ ამ მხრივ სუსტად ჩაიარა სანდრო შანშიაშვილის პიესამ: მეფე ლუარსაბს უბრალო თავადისგან ანუ დღევანდელ ქუდაჯაში ჩაცმულ მომღერლისგან ვერ გამოარჩევდით. თავადებსაც ისევ ის ქუდაჯა, რომელსაც ატარებდენ ქართველნი — ჩვენი რეჟისორების აზრით — 1 საუკუნიდან ვიდრე დღევანდლამდე. საერთოდ მათ არ ეტყობოდა, რომ იგინი ივერიელი თავადები არიან, რომლის ჩაცმულობამ ევროპიელთა საერთო ყურადღება მიიპყრო ფლორენციის კრებაზე (მე-15 საუკ.) შეიძლება მიზეზად ჩვენი სცენის სიღარიბე მოვიყვანოთ, მაგრამ სულ ხომ ასე არ ვიქნებით.

საერთოდ — კი უნდა ვსთქვათ, ჩვენში ისტორიულ ჩაცმულობის საქმე და ესთეტიკა უყურადღებოდ არის მიტოვებული. ჩვენმა რეჟისორ-მსახიობებმა არ იციან ჩვენი არც ისტორია და არც არქეოლოგია რაიცა დიდად აუცილებელია, — იგიც ერთ-ერთი საშუალებაა სცენიურ ილიუზიის აღსასრულებლად!.. *)

გოგლა

# მაშ... რაღად გიკვირს!?

(მეგობრისადმი).

ო! მეგობარო! რო მეკითხები, თუ რამ ჩამიჭკნო ყრმობისა ვარდი, — რა გიპასუხო?

---

*) 3 თიბათვის წარმოდგენა, სინათლის უქონლობის გამო, თითქმის თერთმეტ საათზე დაიწყო, რამაც ცუდ გუნებაზე დააყენა როგორც მსახიობნი, ისევე საზოგადოება. ამ საღამოს ბ-ნმა შალვა დადიანმა თავის სიტყვაში, სხვათაშორის, აღნიშნა, რომ თუმცა მორთულობა, დეკორაციები და ტანისამოსი დღესდღეობით შესაფერი არა გვაქვს, ამ პიესას მაინც ვსდგავქთო. ალბად მომავალში უკეთ შესძლებენ მის დადგმას. რედ.

შენ ვერ წარმოიდგენ, თუ რა საუთოდ დავფარფატებდი მის სურნელოვან ფურცლებზე... ვერ წარმოიდგენ... მაგრამ ახლა-კი!...

აბა შემოიარე ჩემ სათაყვანებელ, ოდესღაც ტურფა, აწ კი სისხლის ნიაღვრით წალეკილ ობოლ წალკოტში, თუ შენც არ აცრემლდე.,. აბა შემოიარე!

ხედავ!... აგერ გადამტვრეული, ოდესღაც თეთრი, ვით სული ანგელოზისა, აწ კი სისხლით ფერილი ზამბახი...

აგერ სუსამბრის ღეროც...

აგერ სისხლის გუბეში ობლად მოხეტიალე ნარგიზის ფურცელი...

აგერ... მაგრამ,... განა შენ კი ვერ ამჩნევ?!

ოჰ! მე კი აღარ ძალმიძს მათი მზერა .. მე კი აღარ ძალმიძს და!...

მაშ... რაღად გიკვირს, რომ ჩემ სათუთ ყრმის ვარდს ოდესღაც ტურფა წალკოტის ახლანდელმა სანახაობამ ფურცლები ჩამოუჭკნო?!

მაშ... რაღად გიკვირს?!

**ს. კაეშნიშვილი.**

# სამი კითხვა

**(სოლოგუბისა)**

I

რათ ვმღერი, როს მწუხარებას
დაუღარავს ჩემი გული,
როს სულს მიწყლავს სასიკვდილოთ
უკურნავი მწვავე წყლული?

II

რათ ვდუმვარ, როს ირგვლივ ისმის
უდარდელი ტკბილი მღერა,
როს ბუნების გამოძახილს
ეერთდება გულის ძგერა?

III

რათ არის, რომ ჩანგის სიმნი
გამოსცემენ მწუხარ ხმასა,
დასასრული აღარა აქვს
სიმწუხარეს, გულის თქმასა?

**ლ· ძიძიგური**

# წერილები მეგობართან

## ქართველ მუსულმანების შესახებ.

მეგობარო!

ერთ აქაურს სასწავლებელში იყო სჯულის მოძღვარი რუსი, ძალიან კეთილი, ქველ მოქმედი, სიმართლის მოყვარე. მოსწონდა საქართველო. მაგრამ მაგარ სასმელთა მიმართ ლტოლვილების გარდა ერთი დიდი ნაკლი ჰქონდა: ქართველობა არ უყვარდა... ისე კი ხშირად ქართველ მოწაფეს შველოდა... მაგრამ ზემოთ დასახელებული ნაკლი ავათმყოფობასავით ჰქონდა დაჩემებული. ერთხელ ერთს ქართველ ინტელიგენტს გულახდილათ უთხრა მოძღვარმა: „მე არ მესმის, თუ როგორ იქცევა რუსთა მთავრობა, ბათომი და ბათომის ოლქი რუსებმა თავისი სისხლით აიღეს; თვისი ძვლები აქ ჩაჰყარეს, და შემდეგ კი ამ ქვეყანას ქართველები დაეპატრონენ. საქალაქო გამგეობაში ქართველებია, ვაჭართა უმეტესობა ქართველებია, მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველებია... ვერ გამიგია, რას სჩადის ჩვენი მთავრობა?! ჩემი ნება რომ იყოს, არც ერთს ქართველს არ დავაყენებდი ბათომში. ბატონო! რუსეთმა შეიერთა საქართველო ჩოლოქის წყლამდის... და ქართველს ნება არ უნდა ჰქონდეს ამ წყალს გადმოსცდეს და ბათომში დასახლდეს“! რასაკვირველია, შოვინისტმა მოძღვარმა მიიღო შესაფერი პასუხი იმ ინტელიგენტისაგან. . მერე იკადრა ჩაჩუმება... მაგრამ მოძღვრის საუბარი დამახასიათებელი კია!... საერთო უწესრიგობის გამო უმეტეს ნაწილად თითოეული ასასი, თითოეული უბრალო აკაკი აკაკიევიჩი, ტომით რუსი, თავის თავს ჩვენს ქვეყანაში კულტურის შემომტანად სთვლის, ყოყოჩობს, ყოველივე ადგილობრივი სძულს... ამით კი სოფელი არ აშენდება...

არ მიკვირს ამის შემდეგ თუ ქართველებს რათ უცქერიან ცუდი თვალით ბათომსკენ აქაური ბიუროკრატები... გასაოცარ მოვლენად ჩასათვლელია ის გარემოება, რომ ქართველებს აკრძალული აქვს მიწის ყიდვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგარაკის შეძენა ციხის ძირში და მწვანე კონცხზე.. იმ ციხის ძირში, რომლის ფერდობებზე 1876—1878 წლებში მრავალი ქართველი გაწყდა...

სამართლიანობა და კანონიერებაც ამისთანა უნდა?! ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ზოგიერთმა ბიუროკრატებმა მთელი თავისი ჯოჯოხეთური ძალები აამუშავონ ქართველ მუსულმანთა შორის ეროვნულ შეგნების შესამუსრავად.. ნეტავ არიან ისეთი გვამები, რომელთაც საქართველო უყვართ, იმ პირობით, თუ მის მიწაწყალზე ქართველები აღარ იქნებიან?!

შენი მეგობარი **ჩაქუჩი**

# დროული ამბები

## აფხაზები

სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამთელებას ცდილობს.

დიდის ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ—დედა ქართლის გარშემო—ვიკრიბებით.

ვგეძე რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორესგან განთიშულნი ვცხოვრობდით ქართლ-კახეთი, იმერ-იმერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა ჯავახეთ-სვანეთი რომ ერთი დედ-მამას შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება და უნდა?

შავ დროთაგან გაგარევებულნი ქართველნი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან.

ახლახან გაბედული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს შვენებამ აფხაზეთმა და თვისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! —ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლაც...

ვაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს. ჩვენს სიბნელეს სავსებით არ უძლევართ, გარიჟ-რაჟი შემოგვდგომის და მომავალს გვიქადის..

სალამი ჩვენი გულის ჩამონაწვეტ საკინძს —ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათს პირველ ნაბიჯს...

## ქართველ ხელოვანთა საზოგადოება!

იშვიათია ისეთი უყვირალი მოსაქმე და მცირე დროში ეგოდენი თვითმოქმედების გამომჩენი, როგორც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებაა, რომელიც ამ ერთი თვის წინად ჩაისახა და იშვა..-

საზ.-ის გამგეობა უკვე ბეჯითად შეუდგა ქართული ხელოვნების ძველი ნაშთების გადმოღება-შეკრებას და ეს-კი დიდათ საჭიროა.

დღეს, კვირას, 12 ივნისს, ამ საზ-ის თაოსნობით ჩვენი ცნობილი მეცნიერი, პრ. ივ. ჯავახიშვილი. ახალ კლუბის დარბაზში წაიკითხავს ფრიად საყურადღებო ლექციას „ქართული ხელოვნების ისტორიდან?“ ივ ჯავახიშვილის სახელი, აღებული საგანი და ქართველ ხელოვანთა საქმიანობა იმდენად საყურადღებოა, რომ მგონია საზოგადოება დიდის თანაგრძნობით შეხვდება და მით ხელს შეუწყობს ნორჩი საზ-ის წინსვლას.

**ექიმი შტოკმანი**

# წვრილი ამბები

**რეჟისორი შ. დადიანი**, როგორც ისმის, საზამთროდ თბილისს იქნება მოწვეული.

**ვ. შალიკაშვილი** გასულ კვირას სამკურნალოდ ცემს გაიგზავნა.

**ს. აბაშელი**, სამკურნალოდ წაღვერს გაემგზავრა.

**მუსიკისი ია კარგარეთელი** ამ ზაფხულს ერთაწმინდაშია, სადაც უკვე შეჰკრიბა სახალხო ლექსები და ლეგენდები. ამ ჟამად სწერს ქართულ რომანებს.

**აკაკის დაბადების დღეს** ქართ. საეთ.—სასისტ საზ-ის თაოსნობით 9 ივნ. ახ. კლუბში საღამო გაიმართა. სხვათა შორის დაიდგა აკაკის „თამარ ცბიერის“ ერთი მოქმ. ვლ. მესხიშვილის და ნ. დავითაშვილის მონაწილეობით. დაესწრო აუარებილი საზოგადოება.

**მასწავლებელი მწერალი ალ. ივ. ნათაძე** ამ მოკლე ხანში გორში ლექციების წაკითხვას აპირებს აღზრდის შესახებ.

**ალ. ნათაძემ** დასწერა ვრცელი მიმოხილვა „ქართული საყმაწვილო მწერლობა“.

**იაპონური ზღაპრები**, ალ. ნათაძის რედაქციით თარგმნილი, თითქმის დამზადებულია და მალე დაიბეჭდება კიდეც სურათებით.

**ქართველ მოღვაწეთა აგარაკის** ასაშენებლად ალექსი გრიგ. უგზოვისგან მივიღეთ **ათი** მ.

**ახალ პიესას** სწერს ალ. ივ. სუმ`ათაშვილი. პიესას ეწოდება „ეკატერინე მეორეს გამეფება“, რომელშიაც, სხვათა შორის გამოყვანილია მსახიობი სანდუნაშვილი (სანდუნოვი) და არაქჩეევი

**შ. ლეკვიაშვილმა გადმოთარგმნა** შილერის „ძმა ძმის მტერი“ და შექსპირის „ქარიშხალი“, ხუთ მოქმედებიანი პიესები, პიესად გადმოაკეთა ალ. ყაზბეკის რომანი „ციცია“.

**ხელოსნების კლუბში** შაბათს 18 ივნისს გ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „რაც გინახავს—ველარ ნახავ!“

**ქართ. კულტ. მოყ საზ-ის თაოსნობით** დღეს, კვირას 12 ივნისს, სამშობლო ისტორიის მოყვარულნი მცხეთას გაემგზავრებიან საექსკურსიოდ. ექსკურსიას ხელმძღვანელობს ისტ. მ. ჯანაშვილი. მსურველნი თბ. სადგურზე უნდა გამოცხ დილის. $8^1/_2$-

**პრ. ივ. ჯავახიშვილი** ქართ. ხელოვანთ საზ-ის თაოსნობით დღეს 12 ივნ. „ახალი კლუბის“ დაბაზში“ წაიკითხავს ლექციას-„ქართული ხელოვნების ისტორიიდან.“

**თბ. გუბ. სახალხო მასწავლებელთა კრება** სახალხო სახლში კვირას 5 ივნ. დაიწყო ვ. ბურჯანაძის თავმჯდომარეობით მისივე მისალოცი სიტყვ თ. მიულოცეს აგრეთვე ქართულ-სომხურ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა წარმომადგენლებმა.

კრების თავმჯდ. ამოირჩიეს ვ. ბურჯანაძე, ამხანაგებად მარკარიანი და პეტროვი, ქ. შიუკაშვილი, ქ. გოდერძოვისა და ქ. ბუსლაევი. გადაღებულ იქნა კრების წარმომადგენელთა სურათი. კრება $12^1/_2$, დაიწყო $3^1/_2$-ზე დაიხურა შემდეგ კრებებზე დამსწრეთ მოისმინეს სხვა და სხვა მოხსენებანი.

**დ. ხაშურის ქართ. დრამატიულ წრემ** გადასწყვიტა საზაფხულო სეზონისათვის რეჟისორად მოიწვიოს შალვა დადიანი და ელო ანდრონიკაშვილი

**დ. ბორჯომის სცენის მოყვ. წრეს** გამოცოცხლება დაეტყო მას შემდეგ, რაც მსახიობი ჟივიძე გადმოიყვანეს აქ. ჟივიძის მონაწილეობით და რეჟისორობით ქართული წარმოდგენები ხშირათ იმართება და საზოგადოება კმაყოფილია.




**ახალი კლუბი** 1 კვირის პროგრ. 12 — 19 ივნისს

**ორშაბათი** — რუსული ოპერეტა

**სამშაბათი** — სიმფონიური კონცერტი

**ოთხშაბათი** — სინემატ. სიმფ. ორკესტრი

**ხუთშაბ.** — ქართ. წარმ. (უფას); ორკ.,

**პარასკ.** სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.

**შაბ.** — სიმფონიური კონცერტი

**კვირა** — საბავშო საღამო, ორკეს, სინემატ.

**დასაწყისი:** კონცერტებისა საღამ. 9 საათ., წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ ს. **შესასვლელი** ფასი ჩვეულებრივია, მხოლოდ სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმ.) 65 კ. მამაკაცები 1·05 კ.

სამშაბათს 14 **სახალხო სახლი** 1916 წ. თიბათვეს

სახალხო სახალში სცენის-მოყვარეთა მიერ პირველათ **ვლ. ს. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით **წარმოდგენილი იქნება:**

**1 ინსტიკტი** დრ. 3 მოქ. კისტმეკერისა თარ. ვ. მესხიშვილისა.

**2 მათიკო** მეს. მოქ. ცაგარელისა მონაწილეობენ: ქ-ნი ბარათაშვილი, ა ქიქოძე ე. იანქოშვილი, მჭედლიშვილი, ბბ. ვლ. ვ, ალექსი მესხიშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. ნინიძე, გოგია გიორგაძე, შანშიევი, სალაყაია, გ. ჯაბაური, და სხვა ადგილების ფასი 30 კ.-ან 99 კ.- მდე გამგე ჯაბაური და ნ გიორგაძე დასაწყისი საღამოს 8 ს.

რეჟისორი ვლ. ს. მესხიშვილი

**ხელოსანთა კლუბი** ორშაბათს, 13 ივნისს

ნაძალადევის სცენის მოყვარეთგან ვ. გამყრელისა და გ. გედევანოვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

**სამშობლო** ისტ. დრამა. 5 მოქმ. 7 სურ. ერისთავისა

ადგილების ფასი ყველასთვის ხელ მისაწვდენია დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ ს. რეჟისორი ს. გოგაშვილი

**ახალი კლუბის დარბაზში**

**ქართველ ხელოვანთა საზოგადოების** თაოსნობით კვირას, **12 ივნისს**, შუადღის **12 ს.** ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს ლექციას

**„ქართული ხელოვნების ისტორიიდან** ლექცია შეეხება ხუროთმოძღვრებას, მხატვრობას, განსაკუთრებით ისტორიულს, აგრეთვე ტანისამოსისა, თავ-სამკაულისა და ქსოვილების ისტორიას. ლექცია დასურათებულია დიაპოზიტივებით ფასი 2 მან. 45 კ მდე

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой სტამბა „სორაპანი“